გიორგი ნარიმანიშვილი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
g.narimanishvili@freeuni.edu.ge

საქართველოს როლი და ადგილი XI საუკუნის ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების არქიტექტურაში

რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეძღვნება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს, როდესაც ჩვენი ქვეყანა აქტიურად იყო ჩართული კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში და ერთიანი რეგიონალური უსაფრთხოების არქიტექტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. X საუკუნის მიწურულსა და XI საუკუნის დასაწყისში დასრულდა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი და დაიწყო საერთაშორისო არენაზე დამკვიდრების ეტაპი. ამ პროცესში ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი იყო სწორი საერთაშორისო პოლიტიკის შემუშავება და აქტიური დიპლომატიის წარმოება. ხსენებულ ეპოქაში მიმდინარე პროცესების ისტორიული ფონზე განხილვამ საშუალება მომცა რელიეფურად გამომეკვეთა საქართველოსა და იმ პერიოდში წამყვანი (დიდი ძალა - Great Power) სახელმწიფოების თანამშრომლობის საფუძვლები და მიზეზები. უფრო სრულად წარმომეჩინა პროცესში მონაწილე მხარეების მიზნები და ის შედეგები, რაც დიპლომატიურ ურთიერთობებს მოჰყვა. კერძოდ, სტატიაში განხილულია ურთიერთობები საქართველოს, ბიზანტიის იმპერიასა და ფატიმიანთა სახალიფოს შორის, როდესაც სამივე ქვეყანა გლობალური საფრთხის, სელჩუკების ექსპანსიის წინაშე აღმოჩნდა და გადაწყდა ერთიანი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება. ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ 1047 წელს, კაიროში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდნენ სხვადასხვა ქვეყნების მმართველები ან მათი ოჯახის წევრები, მათ შორის ქართველ მეფეთა შვილები. სავარაუდოდ, სწორედ ამ ეპიზოდს უკავშირდება ჩვენი ქვეყანის საერთაშორისო სამხედრო კოალიციაში გაწევრიანება. ნიშანდობლივია, რომ კოალიცია შედგა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც რელიგიური განსხვავებისა და პოლიტიკური დაპირისპირებების გამო ერთმანეთთან მკვეთრ წინააღმდეგობაში იმყოფებოდნენ ათწლეულების მანძილზე. კოალიციის შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საერთო საფრთხის წინააღმდეგ თავდაცვა და ერთიანი რეგიონალური უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბება.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ბიზანტიის იმპერია, ფატიმიანთა სახალიფო, სელჩუკები, სამხედრო კოალიცია.

საქართველოსა და მსოფლიოში დღეს არსებული ვითარების ფონზე, ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საკითხის კვლევა მეტად აქტუალურია ჩვენი ქვეყნის ისტორიის სწორად გააზრებისა და გლობალურ პროცესებში საქართველოს ჩართულობის მნიშვნელობის ნათლად წარმოჩენისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო პოლიტიკის როლი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების გზაზე, სადაც დიპლომატიის გამორჩეული ადგილი განსაკუთრებით თვალსაჩინოა. სწორედ ამიტომ, წინამდებარე სტატია ეძღვნება საქართველოს სამეფოსა და ფატიმიანთა სახალიფოს ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს. კერძოდ კი, ქართველ მეფეთა შვილების ვიზიტს კაიროში. ამ ვიზიტის შესახებ მხოლოდ ნასირ ხოსროუ გვაწვდის ინფორმაციას. იგი

აღწერს 1047 წლის აგვისტოში ნილოსის არხის გახსნის აღსანიშნავად გამართულ ცერემონიალს და გვამცნობს, რომ მასში „ქართველ მეფეთა შვილები“ მონაწილეობდნენ.

ნასირ ხოსროუ გადმოგვცემს, რომ არხის გახსნის დღეს, დილით ადრე, ხალიფას სასახლიდან არხისკენ გაემართა დიდი პროცესია, რომელიც შედგებოდა ხალიფას მსახურების, ჯარისკაცებისა და მაღალჩინოსნებისგან, ხოლო თვითონ ხალიფა პროცესიის შუაგულში იმყოფებოდა. სპარსელი მოგზაური ასევე გადმოგვცემს, რომ პროცესიაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის მეფეთა და დიდებულთა შვილები და რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, „ქართველ მეფეთა ვაჟები“. ნასირ ხოსროუ წერს:

> ერთი ჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა ქვეყნების უფლისწულთა და დიდებულთა შვილებისგან, რომელნიც აქ იყვნენ ჩამოსულნი და ლაშქრისა და სპის ანგარიშში არ ითვლებოდნენ. ისინი იყვნენ მაღრიბიდან, იემენიდან, რუმიდან, სლავთა ქვეყნიდან, ნუბიიდან, ჰაბაშადან. აქ იყვნენ ჩამოსულნი დელის მეფის (ხოსროვ) ძენი და მათი დედა, ქართველ მეფეთა ვაჟები, დეილემელთა უფლისწულები და თურქესტანის ხაკანის ვაჟები (ჟორჟოლიანი 1979, 53)[1].

აქ, რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა: ვინ არიან ხსენებული ქართველთა მეფეები და მათი ვაჟები? როგორც ცნობილია 1047 წელს საქართველოს მეფეა ბაგრატ IV და მისი ვაჟია გიორგი, მომავალში მეფე გიორგი II. ქართული წყაროები არანაირ ცნობას არ გვაწვდიან ქართველი უფლისწულის ეგვიპტეში ვიზიტის შესახებ. ასევე ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ნასირ ხოსროუ არა ერთი მეფის ვაჟებს არამედ, მეფეთა ვაჟებს მოიხსენიებს. პროფესორი ვალერიან გაბაშვილი აღნიშნავს, რომ სპარსელი მოგზაური შეცდომას არ უშვებს, როდესაც ქართველ მეფეებს იხსენიებს, რადგან იმ პერიოდში კახეთს დამოუკიდებელი მეფე, კვირიკე, მართავდა (გაბაშვილი 1968, 70). აღსანიშნავია, რომ კათალიკოსი მელქისედეკი თავის ანდერძში კვირიკეს კახეთის მეფედ მოიხსენიებს და ბაგრატ IV-სთან ერთად ანდერძის დამტკიცებას სთხოვს (ბერძენიშვილი 1931, 293). კვირიკე მეფედ (მალიქ) მოიხსენიება მის მიერ მოჭრილ მონეტებზეც (ფაღავა 2016, 261). ჩემი აზრით, არ უნდა გამოირიცხოს კლდეკარის ციხის მფლობელი, ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ IV ბაღვაში, რომელსაც არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი იხსენიებს როგორც აფხაზთა მალიქს (მეფე, მთავარი) (Ibn al-Athīr 1987, 289, 362).

ნასირ ხოსროუ კაიროში ჩავიდა 1047 წლის 4 აგვისტოს. ამ პერიოდში ლიპარიტი დვინის ალყაში იღებდა მონაწილეობას. არც ერთი მისი შვილი ტყვეობაში არ იმყოფება[2] და როგორც ჩანს, ისინი ბაგრატ მეფის მოწინააღმდეგეები არიან, რადგანაც მხოლოდ მამის დატყვევების შემდეგ, მათ: „იძებნეს უშიშოება და გამოიყვანეს მეფე მეფედ“ („მატიანე ქართლისა“ 1955, 302). ჩვენ ვიცნობთ კახეთის მეფის, გაგის მხოლოდ ერთ შვილს, აღსართან I-ს, რომელიც 1058 კახეთის მეფე გახდა და შემდგომ სელჩუკებს მიემხრო. ასევე ცნობილია, რომ გაგი ლიპარიტის მხარეს იბრძოდა სასირეთის ჭალასა და არყის ციხესთან, ამდენად, ამ პერიოდში ის ბაღვაშის მომხრე იყო („მატიანე ქართლისა“ 1955, 299-300). შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ კაიროში როგორც ბაგრატ მეფის ძე გიორგი, ასევე მის ოპოზიციაში მყოფი ლიპარიტისა და კვირიკეს შვილები ჩასულიყვნენ, ან დაპირისპირებულ მხარეთაგან მხოლოდ ერთი ყოფილიყო წარმოდგენილი.

რა თქმა უნდა, ყველა მოწვეულ სტუმარს, ფატიმიანები, რეალურ, ან სავარაუდო მოკავშირეებად განიხილავდნენ. ამ პერიოდში ფატიმიანათა მთავარი მოწინააღმდეგები სელჩუკები იყვნენ. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ ხალიფა ალ-მუსთანსირი აქტიურად ეძებდა მოკავშირეებს სელჩუკების წინააღმდეგ საბრძოლველად. სელჩუკები ახლო აღმოსავლეთში XI საუკუნეში გამოჩნდნენ. თოღრულ-ბეგმა, ღაზნევიანების დამარცხების შემდეგ, 1038 წელს, თავი ნიშაპურის სულთანად გამოაცხადა (Ṭaqqūsh 2002, 85). ამის შემდეგ, მან სპარსეთის დიდი ნა-

[1] ციტატა თარგმნილია პროფ. გ. ჟორჟოლიანის მიერ.

[2] ლიპარიტმა, მისი შვილი ივანე, რომელიც ბაგრატის ტყვეობაში იმყოფებოდა, სასირეთის ბრძოლის წინ არტანუჯის ერისთავ აბუსერზე გაცვალა.

წილი დაიპყრო და ერაყში შეიჭრა. სელჩუკები საკუთარ მოვალეობად თვლიდნენ აბასიანი ხალიფები შიიტი ბუვეიანების ზეგავლენისგან, ხოლო მუსლიმური სამყარო ისმაილიტი ფატიმიანებისგან ეხსნათ (Ṭaqqūsh 2002, 91). სელჩუკების ფატიმიანებთან მტრულ დამოკიდებულებას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 1044-1045 წელს მავერანაჰრის გამგებელმა ისმაილიტთა ჟლეტა მოაწყო (Ibn al-Athīr 1987, 267). მთავარი ძალა, რომელსაც შეეძლო რეალური მხარდაჭერა აღმოეჩინა ფატიმიანებისთვის საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, იყო ბიზანტიის იმპერია. თვითონ ბიზანტიელებიც დაინტერესებულნი იყვნენ ძლიერი მოკავშირის პოვნაში, რადგან სელჩუკები იმპერიის საზღვრებს მიადგნენ 1044 წელს და ვასპურაკანი დალაშქრეს (Treadgold 1997, 592).

ამ დროისთვის ფატიმიანთა სახალიფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის შესანიშნავი ურთიერთობა არსებობდა. ცოტა ხნით ადრე განახლდა 1036 წელს დადებული საზავო ხელშეკრულება (Ibn al-Athīr 1987, 279; Al-Maqrīzī 1996, 194; Ṭaqqūsh 2002, 377). კონსტანტინე IX მონომახოსმა კაიროში ძვირფასი საჩუქრები გაგზავნა. „ულამაზესი“ ცხენების გარდა მან გააგზავნა „ოცდაათი კინტარი ოქრო, კინტარი კი მათთან (ბიზანტიელებთან გ. ნ.) შვიდიათას ორას დინარს უდრის” (Al-Maqrīzī 1996, 194; Shihāb ad-Dīn 2003, 379).

კაიროში გამართული ეს ღონისძიება იძლეოდა შესანიშნავ შესაძლებლობას შემდგარიყო ანტისელჩუკური სამხედრო ალიანსი, რომელშიც გაერთიანდებოდნენ ფატიმიანები, ბიზანტიელები, ქართველები და სხვა მოწვეული სტუმრები.

სავარაუდოდ, მოლაპარაკებები სამხედრო საკითხებზეც მიმდინარეობდა. მცირე სასაზღვრო დავების გარდა, ბიზანტიას და ფატიმიანთა სახალიფოს გარე საფრთხეებზეც უნდა ეზრუნათ. არ არის გამორიცხული, რომ მხარეები ურთიერთდახმარებაზე და საერთო უსაფრთხოებაზეც შეთანხმებულიყვნენ, რადგან აღმოსავლეთიდან დიდი საფრთხე დაემუქრათ. პოლიტიკურ ასპარეზზე სელჩუკების სახით ახალი, ძლიერი ძალა გამოჩნდა. ამდენად, აღმოსავლეთი საზღვრების დაცვა ორივე ქვეყნის საერთო ინტერესს წარმოადგენდა.

XI საუკუნის პირველი ნახევრის პოლიტიკური რუკა გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთიდან მტრის შემოტევის საწინააღმდეგოდ ორგანიზებული თავდაცვითი ზოლი სამი ძირითადი მონაკვეთისგან შედგებოდა. როგორც ჩანს, ფატიმიანთა თავდაცვითი ზოლი სინაის ნახევარკუნძულიდან იწყებოდა და დასავლეთ სირიის გავლით ალეპომდე ადიოდა; ბიზანტიის თავდაცვითი ზოლი კი, ჩრდილოეთ სირიიდან იწყებოდა, აღმოსავლეთ ანატოლიას მიუყვებოდა და საქართველომდე ამოდიოდა. მესამე ზღუდეს კი სამხრეთ კავკასია უნდა მოეცვა (რუკა 1)[3].

ვფიქრობ, რომ ერთობლივი თავდაცვითი ზოლის შექმნა თავისთავად გულისხმობდა მასში საქართველოს ჩართვას. როგორც უკვე აღინიშნა, ზოლის ჩრდილოეთი ნაწილი ბიზანტიის იმპერიას უნდა გაემაგრებინა. ამ ამოცანის შესრულებისთვის კი აუცილებელი იყო საქართველოს ტერიტორიის გაკონტროლება. იმ პერიოდში ბიზანტიას ძალა არ შესწევდა, რომ ძლიერი და ერთიანი საქართველოს სრული ანექსია მოეხდინა. ამდენად, თავისი მიზნის მისაღწევად, ბიზანტიამ ლიპარიტ ბაღვაშის გამოყენება გადაწყვიტა. XI საუკუნის შუა ხანებისთვის ქართველ მეფეზე გაცილებით დიდ ძალას ლიპარიტ ბაღვაში წარმოადგენდა, რომელიც ბიზანტიის ერთგული მოკავშირეც იყო. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ სელჩუკთა წინააღმდეგ ჩამოყალიბებული კოალიცია კავკასიის ხაზის გამაგრების და დაცვის სათავეში ლიპარიტს მოიაზრებდა და არა ბაგრატ IV-ს.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი, მდ. მტკვრის ქვემო დინების გასწვრივ თურქმანულ ტომებს ეკავათ.

ჩემი აზრით, სელჩუკთა წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიაში იგეგმებოდა ორი ძირითადი თავდაცვითი ზოლის შექმნა. კერძოდ, პირველი ზოლი უნდა გასულიყო ხორნაბუჯი, სამშვილდე, დმანისი, ახალქალაქი, ანისი, დვინის ხაზზე. მეორე ზოლი კახეთიდან (ხორნაბუჯი) უნდა დაწყებულიყო და თბილისის გავლით, მტკვრის ხეობით, ტაო-კლარჯეთში ჩასუ-

[3] მადლობას ვუხდი გეოგრაფს და GIS ექსპერტს გიორგი ზედგინიძეს რუკების შედგენაში გაწეული დახმარებისთვის.

ლიყო, სადაც ბიზანტიის მიერ ორგანიზებულ თავდაცვით ზოლს შეუერთდებოდა (რუკა 2). ვფიქრობ, ორი თავდაცვითი ზოლი, მნიშვნელოვანად გააძლიერებდა რეგიონის თავდაცვისუნარიანობას. სავარაუდოა, რომ პირველი ზოლის მთავარი ამოცანა თბილისის იზოლაცია და მთლიანად სამხრეთ კავკასიის დაცვა იყო, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე შეძლებდა პირველი ზოლის გარღვევას, მას მეორე ზოლის დაძლევის აუცილებლობა ექნებოდა. ამ შემთხვევაში სელჩუკებს მოუწევდათ გადაჯგუფება და რესურსების შევსება, რაც ქართველებს რეზერვების მოზიდვისა და მოკავშირეებისგან დახმარების მოთხოვნის დროს მისცემდა. ასევე, ჩრდილოეთის მიმართულებით შეფერხება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდა სელჩუკების სხვა მიმართულებით მოქმედებებზე რაც, მოკავშირეებს კონტრშეტევის ორგანიზებისთვის საჭირო დროს მისცემდა.

ვფიქრობ, რომ ლიპარიტის ყველა ქმედება სწორედ სამხრეთ კავკასიაში ჩრდილოეთის თავდაცვითი ზოლის შექმნას ემსახურებოდა და მას ამ მიზნის მიღწევაში კახეთის მეფე ეხმარებოდა.

თანმიმდევრობით რომ მივყვეთ ლიპარიტის ქმედებებს 1032 წლის თბილისის წარუმატებელი ალყის შემდეგ, დავინახავთ, თუ როგორ იკავებდა იგი მტკვრის ხეობაში სტრატეგიულად მნიშვნელოვან ციხესიმაგრეებს. სავარაუდოდ, ლიპარიტის მიერ კონტროლირებადი ზოლი თბილისის შემოგარენიდან უნდა დაწყებულიყო და დასავლეთის მიმართულებით, მტკვრის ხეობის გასწვრივ, ტაო-კლარჯეთამდე ჩასულიყო. კახეთისა და ტაშირ-ძორაგეტის მეფეები ლიპარიტის ერთგული მოკავშირეები იყვნენ და თბილისის თავდაცვითი ციხეების დაკავების შემთხვევაში, ქალაქი თითქმის სრულ იზოლაციაში ექცეოდა. თბილისის საამიროს აღმოსავლეთიდან კახეთის სამეფო ბლოკავდა, ხოლო სამხრეთიდან ტაშირ-ძორაგეტის სომეხთა სამეფო უკეტავდა გზებს. კახეთის მეფის ხელში ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები იყო როგორიცაა: უჯარმა, ხორნაბუჯი, პანკისი, კვეტერა, ზედაზენი და სხვა. ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში შედიოდა, სამშვილდე, დმანისი, ლორე და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები. ბაღვაშთა თრიალეთის საერისთავო უშუალოდ ესაზღვრებოდა ტაშირს გომარეთის მიდამოებში. აქვე აღსანიშნავია, რომ კახეთისა და ტაშირ-ძორაგეტის მეფეები ახლო ნათესაურ კავშირში იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ 1032 წელს თბილისის დაკავება ვერ მოხერხდა, ლიპარიტმა ბირთვისის ციხე დაიკავა. 1037–1038 წლებში ქართველებმა თბილისის ამირას, ასევე, ფარცხისის და ორბეთის ციხეები წაართვეს, თუმცა, ნათლად არ ჩანს ამ ციხეებს ბაგრატი აკონტროლებდა თუ ლიპარიტი. 1043 წელს ლიპარიტმა ღიად გაილაშქრა ბაგრატ მეფის წინააღმდეგ და ბიზანტიიდან საქართველოში მისი ნახევრამმა, დემეტრე შემოიყვანა. აჯანყებას ქართველ დიდებულთა ნაწილი მიემხრო, თუმცა, ბაღვაშის კამპანია დამარცხდა, მან ატენის ციხე ვერ აიღო და დემეტრე უკან ბიზანტიაში დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, ბაგრატ მეფემ ის ქართლის ერისთავად დანიშნა. როგორც ჩანს, ამ დროს უფლისციხე და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები ქართლში ლიპარიტის კონტროლის ქვეშ იყო. 1045 წელს ლიპარიტს ასევე მიემხრო აწყურის ეპისკოპოსი. ამდენად, აწყურის ციხეც ლიპარიტის განკარგულებაში აღმოჩნდა. 1046 წელს ლიპარიტმა ორი დიდი გამარჯვება მოიპოვა. პირველი, სასირეთის ჭალაში დაამარცხა ბაგრატი და საბოლოოდ განიმტკიცა პოზიციები ქართლში. მალე მის ხელში გადავიდა ახალციხის მახლობლად მდებარე ციხეები და რაც მთავარია, ლიპარიტმა, ტყვედ ჩავარდნილ გრიგოლ აბუსერის ძეს, არტანუჯის ციხე წაართვა. „მოირჭუნა ლიპარიტ ზემოსა ქუეყანასა და აღიხუნა ციხენი და მიიერთნა თავადნი კაცნი“. ამდენად, იკვეთება ის გეოგრაფიული ზოლი, რომელიც პირადად ლიპარიტს უნდა გაეკონტროლებინა და ის ტერიტორიები, რომლებსაც ბაღვაშის მოკავშირეები, კახეთისა და ტაშირ-ძორაგეტის მეფეები აკონტროლებდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ამ ზოლის გამაგრებას ემსახურებოდა ასევე ანისისა და დვინის კამპანიებიც. 1044 წელს ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახოსმა ანისის მეფე გაგიკ II კონსტანტინეპოლში გაიწვია და უკან დაბრუნების უფლება აღარ მისცა. ადგილობრივმა დიდგვაროვნებმა ანისის სამეფო ბაგრატ IV-ს გადასცეს, ხოლო ქართველთა მეფემ ანისის გამგებლად არტანუჯის ერისთავი, აბუსერი, დააყენა. მომდევნო წლის შემოდგომის დამდეგს ლიპა-

რიტმა ანისის მმართველი ქართველი დიდგვაროვნები ქალაქიდან მოტყუებით გამოიყვანა და დაატყვევა. ამის შემდეგ, ის ბიზანტიელთა დიდი ლაშქრით საქართველოსკენ გამოემართა. როგორც ჩანს, ლიპარიტმა განიზრახა საქართველოს გაერთიანების საკუთარი გეგმის განხორციელება. ამავე დროს, 1045 წლის შემოდგომის დამდეგს, ბიზანტიელებმა დვინი დალაშქრეს, თუმცა, სასტიკად დამარცხდნენ. 1046-47 წლის ზამთარში, ბიზანტიელებმა დვინის საკითხის საბოლოოდ გადაჭრა გადაწყვიტეს, მაგრამ საბოლოო მიზნის მიღწევა ვერ შეძლეს. ამ ბრძოლაში ლიპარიტი ბერძნებს ეხმარებოდა. თუმცა, 1047 წლის სექტემბერში ბიზანტიაში დაიწყო აჯანყება, რამაც დვინის კამპანია შეაჩერა.

დვინზე შეწყვეტილი ლაშქრობის შემდეგ, ლიპარიტი უმალ „შემოიქცა თავის ქუეყანად“. 1048 წელს ბიზანტიას კვლავ დასჭირდა ლიპარიტის დახმარება. ამჯერად გაცილებით უფრო საშიში მტრის წინააღმდეგ, ვიდრე დვინელი ამირა იყო, ბიზანტიას სელჩუკებმა შეუტიეს. ლიპარიტმა შეკრიბა ლაშქარი და ბასიანისკენ გაემართა, სადაც მას ბერძენი მთავარსარდლები კატაკალონ კეკავმენოსი და არონ ვესტი ელოდებოდნენ. სანამ ბიზანტიელები ლიპარიტის მისვლას ელოდებოდნენ, სელჩუკებმა გადაწვეს ქ. არძე. კეკავმენოსი სთავაზობდა ვესტს ლიპარიტის მოსვლამდე შებმოდნენ მოწინააღმდეგეს, თუმცა ვესტი უარზე იყო, რადგან იმპერატორის ბრძანება ჰქონდა მიღებული ლიპარიტის გარეშე ბრძოლა არ დაეწყოთ (კედრენე 1963, 75). როდესაც ლიპარიტი ბიზანტიელებს შეუერთდა, მათ ურჩიეს ქართველ ერისთავს უმალ დაეწყო შეტევა, მაგრამ ლიპარიტმა უარი განაცხადა. როგორც კედრენე გვიამბობს, ლიპარიტი საკმაოდ ცრუმორწმუნე ყოფილა და ამ მიზეზით ბრძოლის დაწყება ერთი დღით გადადო:

> ლიპარიტმა არ მოინდომა იმ დღეს ბრძოლა, ვინაიდან შაბათი იყო, სექტემბრის თვის თვრამეტი რიცხვი, მეორე ინდიქტონისა, ხოლო ლიპარიტი უბედურ დღეთა რიცხვს მიაკუთვნებდა შაბათს, და ამ დღეს ომის წარმოებაზე უარი უნდა თქმულიყო (კედრენე 1963, 75).

ამით ისარგებლეს სელჩუკებმა, სასწრაფოდ გაემზადნენ საბრძოლველად და ბიზანტიელებს დაესხნენ თავს. ბიზანტიელები და ლიპარიტი უმალ საბრძოლოდ გადაეწყვნენ და თურქების დასახვედრად გაემზადნენ. მარჯვენა ფლანგს კეკავმენოსი ხელმძღვანელობდა, მარცხენას - არონი, ცენტრი კი ლიპარიტს ჰქონდა ჩაბარებული. კეკავმენოსმა და არონმა გაიმარჯვეს, თუმცა ლიპარიტი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა (Skylitzes 2010, 423-425).

სკილიცა და იბნ ალ-ასირი მოგვითხრობენ, რომ კონსტანტინე მონომახოსმა თოღრულ-ბეგთან შუამავალი გაგზავნა და ლიპარიტის გამოსასყიდად ძვირფასი საჩუქრებიც გაატანა. სკილიცას თქმით, ეს შუამავალი ვასპურაკანის დუკას აარონის მდივანი, გიორგი დროსოსი იყო (კედრენე 1963, 78; Skylitzes 2010, 426), ხოლო იბნ ალ-ასირის მონაცემებით, იმპერატორმა შუამავლობა დიარბექირის მარვანიან გამგებელს, ნასირ ად-დავლას სთხოვა, რომელმაც სელჩუკთა სულთანთან მოლაპარაკებებზე შეიხ ალ-ისლამი გაგზავნა (Ibn al-Athīr 1987, 289; ჯაფარიძე 2012, 132). რა თქმა უნდა, ეს მონაცემები ერთმანეთს არ გამორიცხავს და დასაშვებია, რომ ლიპარიტის გასათავისუფლებლად ბიზანტიის იმპერატორმა ორ შუამავალს ერთდროულად მიმართა. ეს იმას ამტკიცებს, რომ ქართველი ერისთავის ტყვეობიდან გათავისუფლებას იმპერატორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ის ფაქტი, რომ ლიპარიტის ტყვეობასა და გათავისუფლებას არაერთი მემატიანე აღწერს, ქართველი ერისთავთ-ერისთავის გამორჩეულ პოლიტიკურ როლზე მიუთითებს. ამასთან, შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ ბიზანტია კაიროში 1047 წელს გამართულ შეხვედრამდე გაცილებით ადრე განიხილავდა ლიპარიტ ბაღვაშს თავის მთავარ დასაყრდენად სამხრეთ კავკასიაში, რადგან სწორედ ლიპარიტი ედგა სათავეში თითქმის ყველა ბიზანტიურ სამხედრო კამპანიას ამ რეგიონში. ხოლო, კაიროში გამართულ შეხვედრაზე ბაღვაშთა სახლი საერთაშორისო კოალიციის წევრობის სტატუსის პრეტენზიით წარსდგა. თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს ფატიმიანთა დედაქალაქში ბაგრატიონთა ტახტის მემკვიდრის ჩასვლას, რადგან შესაძლოა ფატიმიანები და ბიზანტია ბაგ-

რატიონებთან თანამშრომლობას სარეზერვო ვარიანტად განიხილავდნენ. ასევე, დღეს რთულია ვისაუბროთ ბიზანტიის გრძელვადიან გეგმებზე საქართველოს სამეფოს მიმართ. კერძოდ, ბიზანტია სამხრეთ კავკასიას მხოლოდ ბუფერულ ზონად განიხილავდა, თუ თავის უშუალო სატელიტად, სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. სავარაუდოდ, აქ ორმაგ თამაშთან გვაქვს საქმე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში სამეფო ხელისუფლება გაიმარჯვებდა, საქართველო ბიზანტიისთვის მხოლოდ კეთილი მეზობელი და ომის შემთხვევაში ბუფერი იქნებოდა, ხოლო თუ ლიპარიტის ოპოზიციური ძალები გაიმარჯვებდნენ, ბიზანტია მხოლოდ „კეთილი მეზობლის“ სტატუსით არ დაკმაყოფილდებოდა. იქიდან გამომდინარე, თუ რა უზარმაზარი რესურსიც დაახარჯა ბიზანტიამ ლიპარიტ ბაღვაშს, იმპერიას საქართველოზე სრული კონტროლის პრეტენზია უნდა ჰქონოდა.

ზემოთ აღწერილი პროცესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ 1047 წელს კაიროში შემდგარმა მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღო და ანტისელჩუკური კოალიცია შედგა. სავარაუდოა, რომ ჩრდილოეთის თავდაცვის ზოლის მეთაურად ლიპარიტ ბაღვაში დაინიშნა. თუმცა, ბასიანის ბრძოლის შემდეგ, ფრონტის ხაზში სისუსტეები გაჩნდა, ხოლო სარდლის დატყვევებამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები წარმოქმნა. ლიპარიტის დატყვევებამ ბიზანტიის თავდაპირველი გეგმები ჩაშალა, სელჩუკთა ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ბაღვაშმა დაკარგა იმპერატორის ნდობა და ბიზანტიამ მხარდაჭერა ბაგრატ IV-ს აღუთქვა.

მალე ბიზანტიისა და ფატიმიანთა ალიანსიც დაიშალა. სელჩუკების წინ არაფერი და არავინ იდგა. ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაფუჭების მიზეზად იქცა ხალიფა ალ-მუსთანსირის უარი ბიზანტიის მმართველის, თეოდორას მოთხოვნაზე, როდესაც მან ეგვიპტეში ხორბლის გაგზავნის სანაცვლოდ, ალ-მუსთანსირს სამხედრო დახმარება სთხოვა (Thomson 2008, 58; Hamdani 1998, 175; Surūr 1995, 216; Al-‘Aydarūs 2010, 779). ალ-მუსთანსირის უარით განრისხებულმა თეოდორამ განაცხადა, რომ ხალიფამ ზავის პირობები დაარღვია. ამის შემდეგ, ურთიერთობა ქვეყნებს შორის კვლავ დაიძაბა. შიდა მდგომარეობაც აირია. ფატიმიანთა ეგვიპტე სამოქალაქო ომის ცეცხლში გაეხვია, ხოლო ბიზანტია სელჩუკთა შემოტევებს ვერ აუდიოდა. სამხედრო ალიანსი და საერთო, შეთანხმებული თავდაცვა, ისტორიას ჩაბარდა. შედეგები ორივე ქვეყნისთვის სავალალო იყო, ხოლო კავკასიაში დიდი თურქობა დაიწყო. თუმცა, თუ ბიზანტიისთვის სელჩუკთა შემოსევები დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდა, საქართველო მალევე დაუბრუნდა განვითარების გზას.

ჩემი აზრით, სწორედ ეს ეპოქა გახდა გარდამტეხი საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმეში. სწორედ ამ პერიოდში ხდება ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო სამხედრო კოალიციის სრულფასოვანი წევრი, იმ კოალიციისა რომელიც შეიქმნა პოლიტიკური და რელიგიური განსხვავებების მიუხედავად, იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ათწლეულების მანძილზე ერთმანეთთან მწვავედ იყვნენ დაპირისპირებულები. კოალიციის შექმნის მთავარ მიზნად კი, საერთო გლობალური საფრთხის წინააღმდეგ თავდაცვა და ერთიანი უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბება იქცა. მიუხედავად იმისა, რომ იმ ეტაპზე დასახული მიზნის მიღწევა ვერ მოხერხდა, საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა საკუთარი მნიშვნელობა და პოლიტიკური მზაობა იმ პერიოდის გლობალური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაში.

ამდენად, ისტორიულმა პროცესებმა ცხადყო, რომ უსაფრთხოების გლობალური სისტემის ჩამოყალიბების პროცესში საერთაშორისო კავშირებსა და ალიანსებში გაწევრიანება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რაც მხოლოდ აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებით შეიძლება იქნეს მიღწეული.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერძენიშვილი, ნ. 1931. „მცხეთის საბუთი XI საუკუნისა.“ *საქართველოს მუზეუმის მოამბე* VI: 229-296.

გაბაშვილი, ვ. 1968. „საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI - XII სს.).“ *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 125: 55-81.

კედრენე, გიორგი. 1963. „ქრონოგრაფია.“ *გეორგიკა - ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ,* ტ. V, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, 7-82. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

„მატიანე ქართლისა“. 1955. *ქართლის ცხოვრება,* ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 249-317. თბილისი: „სახელგამი“.

ჟორჟოლიანი, გ. 1979. „ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან.“ *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები*, წიგნი II: 52-66.

ფაღავა, ი. 2016. „საქართველოს გაერთიანება და ნუმიზმატიკური ევოლუციის ვექტორები (X საუკუნის დასასრული - XII საუკუნის დასაწყისი.“ *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო,* IX: 247-270.

ჯაფარიძე, გ. 2012. „ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში.“ *ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში*, ტომი I, 112-134. თბილისი: „მხედარი“.

Al-‘Aydarūs, M. Ḥ. 2010. *Ad-dawla al-islāmyya al-khāmisa.* Al-Qāhira: dār al-kitāb al-ḥadīth.

Al-Maqrīzī. 1996. *Itti‘āẓ al-ḥunafā’ bi akhbar al-a’imma al-fāṭimīin al-khulafā’*. Al-juz’ al-awwal, taḥqīq al-duktūr Muḥammad Ḥulmī Muḥammad Aḥmad. Al-Qāhira.

Hamdani, A. 1998. “Examples of Fatimid Realpolitik.” *Digest of Middle East Studies*, Vol. 7, Issue 4 (Fall 1998): 1-12.

Ibn al-Athīr. 1987. *Kāmil fi al-tārīkh*. M., IX, taḥqīq Abi al-Fiḍa’ ‘Abd Allah al-Qaḍi. Bayrūt: dar al-kutub al-‘imiyya.

Shihāb ad-Dīn. 2003. *Al-mustaṭraf fi kull fann mustaẓraf*. Taḥqīq ad-duktūr Aḥmad Aḥmad ash-Shutaywyi. Al-Manṣūra: dār al-ghad al-jadīd.

Skylitzes, John. 2010. *A Synopsis of Byzantine History 811 – 1057*. Translated by John Wortley. New York: Cambridge University Press.

Surūr, M. J. 1995. *Tārīkh al-dawla al-fāṭimiyya*. Al-Qāhira: dār al-fikr al-‘arabī.

Ṭaqqūsh, M. S. 2002. *Tārīkh as-salājiqa fī bilād ash-shām.* Bayrūt: dār an-nafā’is.

Thomson K. E. F. 2008. “Relations Between the Fatimid and Byzantine Empires During the Reign of the Caliph al-Mustansir bi’llah, 1036-1094/427-487.” *Byzantine and Modern Greek Studies,* Vol. 32, No 1: 50-62.

Treadgold W. 1997. *A History of the Byzantine State and Society.* Stanford, California: Stanford University Press.

რუკა 1.

ახლო აღმოსავლეთი XI საუკუნის პირველ ნახევარში
20°0'0"E
30°0'0"E
40°0'0"E
40°0'0"N
30°0'0"N
ბუდაპეშტი
უნგრეთის სამეფო
სალვთო რომის იმპერია
ვენეცია
ბიზანტიის იმპერია
ხაზარეები
ბულგარეთი
ბალკანეთის ნახევარკუნძული
ეგეოსი ზღვა
ხმელთაშუა ზღვა
ფატიმიანთა სახალიფო
ალბასიანთა სახალიფო
ალეპო
ბაღდადი
1055
ალექსანდრია
ბარკა
ანტიოქია
1078
ალეპო
ჰამა
ჰომსი
დამასკო
1078
1098
იერუსალიმი
ქაირო
ლიბია
ბენეფანი
ბენევენტი
ნეაპოლი
სიცილია
სირაკუზა
ათენი
სმირნა
კონსტანტინოპოლი
ხერსონი
ტრაპიზონი
ერზრუმი
1048
მანასკერტი
1071
ეფესი
მალაზგირდი
ვასპურაკანი
მოსულის საამირო
მოსული
1096
ქუთაისი
1065
1068
თბილისი
ანი
1065
დვინი
განძა
ტბილისი
ტიგრი
ევფრატი
ბაგრატიონთა
ბაგრატიონთა
ლეგენდა
დასახლებული პუნქტი
ბრძოლა
მდინარე
შეტევის მიმართულება
თავდაცვის ზოლი
1:12 500 000
რუკა შეადგინეს:
გ.ნარიმანიშვილმა და გ.ზედგინიძემ

რუკა 2.


42°0'0"E
43°0'0"E
44°0'0"E
45°0'0"E
42°0'0"N
41°0'0"N
ცაგერი
ონი
ზუგდიდი
ქუთაისი
სამტრედია
ზესტაფონი
ვანი
ხაშური
ცხინვალი
გორი
უშლისციხე
ატენი
ჯასანი
მუხრანი
მცხეთა
ბაკურიანი
ბაკურიანი
ახალციხე
ახალციხე
მანგლისი
ორბეთი
კლდეკარი
თბილისი
ნალჯა
ბორითისი
ფარცხისი
რუსთავი
ბოლნისი
ძეძეში
ახალქალაქი
დმანისი
ფარავნის ტბა
ჯარწყახის ტბა
არტანუჯი
ლეგენდა
ციხესიმაგრე
ქალაქი
მდინარე
ტბა
თავდაცვის ზოლი
რუკა შეადგინეს:
გ.ნარიმანიშვილმა და
გ. ზედგინიძემ
1:1 200 000